ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 21 თებერვლის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 21 თებერვლის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №6

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

21 თებერვალი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ვარლამ ჭიპაშვილი- „ საფინანსო-საბიუჯეტო“ კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე -ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე,

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ -ს თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეების“ თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს თავმჯდომარე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატი:

ლ.კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის იურისტი

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი:

ვლადიმერ გელაშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა კითხვით მიმართა მომხსენებელს არის თუ არა უკვე განაწილებული სკოლების მცირე რემონტისათვის გამოყოფილი თანხა.

ვ. გელაშვილმა უპასუხა, რომ არ აქვს ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 04 მარტის სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით და დაავალა კომისიებს საკითხის კომისიის სხდომაზე განხილვა.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 9 წევრი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 მარტის სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N48 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე